

სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჟ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-23

**ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება**

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

| <b>ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება</b>    | <b>Note</b> | <b>12/31/2019</b> | <b>31/12/2018</b> |
|---------------------------------------------|-------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                             |             |                   |                   |
| <b>ბრძელვადიანი აქტივები</b>                |             |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                        | 4           | 38,653            | 50,049            |
| არამატერიალური აქტივი                       |             | 0                 | 0                 |
|                                             |             | <b>38,653</b>     | <b>50,049</b>     |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |             |                   |                   |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 5           | 616,303           | 682,110           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 6           | 640,293           | 1,455,804         |
| მარაგები                                    | 7           | 553               | 759               |
| სხვა მიმდინარე აქტივები                     | 8           | 118,363           | 88,848            |
|                                             |             | <b>1,375,512</b>  | <b>2,227,521</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     |             | <b>1,414,165</b>  | <b>2,277,570</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |             |                   |                   |
| სხვა რეზერვები                              |             | 3,929             | 23,631            |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)   |             | 704,561           | 1,171,832         |
|                                             |             | <b>708,490</b>    | <b>1,195,463</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                        |             |                   |                   |
| <b>ბრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |             |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                        |             | 0                 | 0                 |
|                                             |             | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |             |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 9           | 331,129           | 243,259           |
| მიღებული ავანსი                             | 10          | 360,397           | 633,496           |
| საგადასახადო ვალდებულებები                  | 11          | 14,149            | 205,351           |
|                                             |             | <b>705,676</b>    | <b>1,082,107</b>  |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                |             | <b>705,676</b>    | <b>1,082,107</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> |             | <b>1,414,165</b>  | <b>2,277,570</b>  |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი

დირექტორი:

სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჰ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი

**ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება**

**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

| ფინანსური მდომარეობის ანგარიშგება          | Note | 12/31/2019       | 31/12/2018       |
|--------------------------------------------|------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |      |                  |                  |
| <b>ბრძელვადიანი აქტივები</b>               |      |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 4    | 38,653           | 50,049           |
| არამატერიალური აქტივები                    |      | 0                | 0                |
|                                            |      | <b>38,653</b>    | <b>50,049</b>    |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |      |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინტრუმენტები  | 5    | 816,303          | 682,110          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 6    | 640,293          | 1,455,804        |
| ზარალებები                                 | 7    | 553              | 759              |
| სხვა მიმდინარე აქტივები                    | 8    | 118,363          | 88,848           |
|                                            |      | <b>1,375,512</b> | <b>2,227,521</b> |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    |      | <b>1,414,165</b> | <b>2,277,570</b> |
| <b>მთლიანი პასივები</b>                    |      |                  |                  |
| სხვა რეზერვები                             |      | 3,929            | 23,631           |
| გაუნაწილებელი ზოგება / (დაგროვილი ზარალი)  |      | 704,561          | 1,171,832        |
|                                            |      | <b>708,490</b>   | <b>1,195,463</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |      |                  |                  |
| <b>ბრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |      |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                       |      | 0                | 0                |
|                                            |      | <b>0</b>         | <b>0</b>         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |      |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9    | 331,129          | 243,259          |
| მიღებული ავანსი                            | 10   | 360,397          | 633,496          |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 11   | 14,149           | 205,351          |
|                                            |      | <b>705,676</b>   | <b>1,082,107</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>               |      | <b>705,676</b>   | <b>1,082,107</b> |
| <b>მთლიანი პასივები და ვალდებულებები</b>   |      | <b>1,414,165</b> | <b>2,277,570</b> |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი

დირექტორი:



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება                                           | Note | 12/31/2019       | 12/31/2018       |
|---------------------------------------------------------------------------|------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                                 | 12   | 4,172,776        | 5,405,819        |
| თვითღირებულება                                                            | 13   | (3,099,383)      | (3,281,137)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                                      |      | <b>1,073,393</b> | <b>2,124,682</b> |
| სხვა შემოსავლები                                                          |      | -                | 5,130            |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                                            | 14   | (428,647)        | (657,150)        |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი            |      | -                | (968)            |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა                                       | 15   | 63,063           | (2,993)          |
| სხვა ხარჯები                                                              | 16   | (3,248)          | (3,502)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                  |      | <b>704,561</b>   | <b>1,465,198</b> |
| ფინანსური შემოსავალი                                                      |      | -                | -                |
| ფინანსური ხარჯი                                                           |      | -                | -                |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                                                  |      | -                | -                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                 | 17   | <b>704,561</b>   | <b>1,465,198</b> |
| მოგების გადასახადი                                                        |      | (175,775)        | (91,706)         |
| <b>პერიოდის მოგება</b>                                                    |      | <b>528,786</b>   | <b>1,373,492</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>                                             |      |                  |                  |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,<br>გადასახადების გამოკლებით |      | -                | -                |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                  |      | <b>528,786</b>   | <b>1,373,492</b> |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი

დირექტორი:

სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჲ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**  
**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

| მომავლისა და ზარალის ანგარიშგება                                          | Note | 12/31/2019       | 12/31/2018       |
|---------------------------------------------------------------------------|------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                                 | 12   | 4,172,776        | 5,405,819        |
| თვითღირებულება                                                            | 13   | (3,099,383)      | (3,281,137)      |
| <b>საბარტო მოგება</b>                                                     |      | <b>1,073,393</b> | <b>2,124,682</b> |
| სხვა შემოსავლები                                                          |      | -                | 5,130            |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                                            | 14   | (428,647)        | (657,150)        |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი            |      | -                | (968)            |
| სხვა შემოსულობები/ზარალი - წმინდა                                         | 15   | 63,063           | (2,993)          |
| სხვა ხარჯები                                                              | 16   | (3,248)          | (3,502)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                  |      | <b>704,561</b>   | <b>1,465,198</b> |
| ფინანსური შემოსავალი                                                      |      | -                | -                |
| ფინანსური ხარჯი                                                           |      | -                | -                |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                                                  |      | -                | -                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                                 | 17   | <b>704,561</b>   | <b>1,465,198</b> |
| მოგების გადასახადი                                                        |      | (175,775)        | (91,706)         |
| <b>პერიოდის მოგება</b>                                                    |      | <b>528,786</b>   | <b>1,373,492</b> |
| სხვა სრული შემოსავალი:                                                    |      |                  |                  |
| შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფარებიდან,<br>გადასახადების გამოკლებით |      | -                | -                |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი</b>                                  |      | <b>528,786</b>   | <b>1,373,492</b> |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი

დირექტორი:



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა რეზერვები -<br>დაფინანსება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------------------|---------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | -                     | <b>1,171,832</b>        | <b>23,631</b>                   | <b>1,195,463</b>    |
| მოგება წლის ბოლოს             |                       | 528,786                 | (19,702)                        | <b>509,084</b>      |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                         | -                               | -                   |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | 528,786                 | (19,702)                        | <b>509,084</b>      |
| გაცემული დივიდენდი            |                       | 996,057                 |                                 | <b>996,057</b>      |
| აქციების გამოშვება            | -                     |                         |                                 | -                   |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | -                     | <b>704,561</b>          | <b>3,929</b>                    | <b>708,489</b>      |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი

დირექტორი:

სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიქ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი

**საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**  
**2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა რეზერვები -<br>დაფინანსება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------|---------------------------------|---------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | -                     | <b>1,171,832</b>        | <b>23,631</b>                   | <b>1,195,463</b>    |
| მოგება წლის ბოლოს             |                       | 528,786                 | (19,702)                        | 509,084             |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                         | -                               | -                   |
| ბერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | 528,786                 | (19,702)                        | 509,084             |
| გაცემული დივიდენდი            |                       | 996,057                 |                                 | 996,057             |
| აქციების გამოშვება            | -                     |                         |                                 | -                   |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | -                     | <b>704,561</b>          | <b>3,929</b>                    | <b>708,489</b>      |

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 სექტემბერი  
 დირექტორი:



**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

**1. ზოგადი ინფორმაცია**

"სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჰ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი" უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ძმ. ზუბალაშვილების ქ., N 2, საქმიანობის ადგილი არ არის მუდმივი და განისაზღვრება დამკვეთებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კერძოდ: ქ.თბილისი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მარნეული-ბოლნისი, ალგეთი-სიონი, გრიგოლეთი-ქობულეთი და ჩუმათელეთი-ხევის გზის მონაკვეთი. მისი ძირითადი საქმიანობაა საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება, ზედამხედველობა და პროექტირება.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2014 წლის 17 მარტი

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - გოქთუღ სირელ.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს.

**ამონაგების აღიარება**

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.



## **სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების**

**განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

### *მოგების გადასახადი*

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

მოგების გადასახადი აღიარდება საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება მიღებული მოგების განაწილება.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

### *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

|                         |          |
|-------------------------|----------|
| ოფისის აღჭურვილობა      | 3-5 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 3-6 წელი |
| სატრანსპორტო საშუალება  | 10 წელი  |

**საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

**აქტივების გაუფასურება**

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

*სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები*

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

*სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

*სავაჭრო ვალდებულებები*

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

*დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები*

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

**სხვა რეზერვები**

კომპანიაში სხვა რეზერვების ანგარიში განკუთვნილია მიღებული მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვისათვის.

**ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. უცხოური საწარმოს ფილიალის მიერ ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის მოქმედი პროექტები:

სსიპ საქ.რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქ-ოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2018 წლის 28 დეკემბერს 50 თვიანი ვადით, რომელიც ითვალისწინებს საზედამხედველო სამუშაოებს გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის e70 მაგისტრალის განაყოფზე (ხელშეკრულების ნომერი: GTC/CS/QCBS-01),

უცხოურ საწარმოს ფილიალთან „ჰილ ინტერნეიშენალ ენ.ვი-ს ფილიალი საქართველოში“ 2017 წლის 7 სექტემბერს რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო საზედამხედველო და საკონსულტაციო მომსახურებას, აღნიშნული კონტრაქტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2021 წლის 31 დეკემბრამდე (ხელშეკრულების ნომერი: UWSCG/USIIP/QCBS/04-2016. Loan No. 3441- GEO).

უცხოური საწარმოს ფილიალი სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ამასთან ფინანსების მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს სააქციო საზოგადოება თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჲ ჰიზმეთლერი-ის ხელმძღვანელობა, რომელიც ადასტურებს, რომ აქვს შესაძლებლობა იყოს ფილიალის ფინანსური გარანტორი საქართველოში. აღნიშნულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ამასთან საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას იქონიებს COVID-19- ის პანდემია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა, ასევე მსოფლიოში არსებული გაუერესებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომი დინამიკის შეფასება და პროგნოზი. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ახორციელებს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ამ ეტაპზე არსებობს მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროექტების მიმდინარეობა არ უნდა შეფერხდეს მსოფლიო პანდემიის პირობებში.

**4.ძირითადი საშუალებები**

|                                    | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავტო და სხვა<br>ინვენტარი | საბრუნავო<br>საშუალებები | სულ             |
|------------------------------------|-----------------------|---------------------------|--------------------------|-----------------|
| <b>31 დეკემბერი 2018</b>           | <b>19,018</b>         | <b>44,918</b>             | <b>25,032</b>            | <b>88,968</b>   |
| შემოსვლა                           | -                     | -                         | -                        | -               |
| გადაფასება                         | -                     | -                         | -                        | -               |
| გასვლა                             | -                     | -                         | -                        | -               |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>           | <b>19,018</b>         | <b>44,918</b>             | <b>25,032</b>            | <b>88,968</b>   |
| <b>ცვლილება და გაუფასურება</b>     |                       |                           |                          |                 |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>           | (12,705)              | (18,517)                  | (7,697)                  | (38,919)        |
| პერიოდის ცვლილება                  | (1,790)               | (7,354)                   | (2,253)                  | (11,397)        |
| გაუფასურება                        | -                     | -                         | -                        | -               |
| გასვლა                             | -                     | -                         | -                        | -               |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>           | <b>(14,494)</b>       | <b>(25,871)</b>           | <b>(9,950)</b>           | <b>(50,315)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                       |                           |                          |                 |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>           | <b>6,313</b>          | <b>26,402</b>             | <b>17,335</b>            | <b>50,049</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>           | <b>4,523</b>          | <b>19,048</b>             | <b>15,082</b>            | <b>38,653</b>   |

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი
- კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით და გირავნობით

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

**5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

| 2019           | 2018           |
|----------------|----------------|
| 616 303        | 682 110        |
| <b>616 303</b> | <b>682 110</b> |

**6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები საწარმოს პესონალის მიმართ

| 2019           | 2018             |
|----------------|------------------|
| 638 289        | 1 455 804        |
| 2004           | -                |
| <b>640 293</b> | <b>1 455 804</b> |

კომპანიამ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი. რომელიც ეხებოდა 2019 წლის 31 იანვრის მდგომარეობით გაწეულ მომსახურებას სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ, ღირებულებით ჯამში 114 460.66 ლარი. დამკვეთის მხრიდან გაწეული მომსახურებასთან დაკავშირებით დადგენილ იქნა ხარვეზი, რომელიც კომპანიის მიერ არ იქნა აღმოფხვრილი. შესაბამისად დამკვეთმა არ აანაზღაურა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნის დაფარვის თარიღი განუსაზღვრელია.

**7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

| 2019       | 2018       |
|------------|------------|
| 553        | 759        |
| <b>553</b> | <b>759</b> |

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების**

**განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს**

**დასრულებული წლისთვის**

**8. სხვა მიმდინარე აქტივები**

|                                   | 2019           | 2018          |
|-----------------------------------|----------------|---------------|
| წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა   | 0              | 2 649         |
| წინასწარ ანაზღაურებული სხვა ხარჯი | 118 363        | 86 199        |
|                                   | <b>118 363</b> | <b>88 848</b> |

**9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                                                                       | 2019           | 2018           |
|---------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მომწოდებლების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები, რომლებიც დეტალურად არ არის წარდგენილი | 933            | 1 385          |
| სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია                                                 | 3535           | 0              |
| შპს საქენერგოპროექტი                                                                  | 1 100          | 0              |
| შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალი                                               | 90 180         | 0              |
| შპს საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი (GTC/CS/QCBS-01)                            | 219 579        | -              |
| ფ/პ-ის მიერ გაწეული მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულება                                    | 0              | 2 921          |
| შპს აეკომ ჯორჯია                                                                      | 0              | 20 851         |
| PLATO JEOTEKNIK SONDAJ MUH.LTD                                                        | 0              | 12 908         |
| შპს საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი (EwHIP-4/cs/qcbs-03)                        | 0              | 23 907         |
| შპს პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი - PMCG                                      | 9 357,38       | 173 080        |
| ჰილ ინტერნეიშენალ ენ.ვი-ს ფილიალი საქართველოში                                        | 5 986          | 4 672          |
| ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე                                              | 458            | 3 536          |
|                                                                                       | <b>331 129</b> | <b>243 259</b> |

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის*

---

**10. მიღებული ავანსები**

შპს აეკომ ჯორჯია

ჰილ ინტერნეიშენალ ენ.ვი-ს ფილიალი საქართველოში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქ.რეგიონული განვითარ.და ინფრასტრუქტ.სამინისტროს საქ.  
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

| 2019           | 2018           |
|----------------|----------------|
| 108 000        | 108 000        |
| 0              | 478 032        |
| 23732          | 47 465         |
| 228 665        | 0              |
| <b>360 397</b> | <b>633 496</b> |

**11. საგადასახადო ვალდებულებები**

საშემოსავლო გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი

ქონების გადასახადი

| 2019          | 2018           |
|---------------|----------------|
|               | -              |
| 13 706        | 204 400        |
| 443           | 951            |
| <b>14 149</b> | <b>205 351</b> |



*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის*

---

**12. ამონაგები**

მომსახურების გაწევა

| 2019             |
|------------------|
| 4 172 776        |
| <b>4 172 776</b> |

**13.თვითღირებულება**

რეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურება

არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურება

საგარანტიო მომსახურების ხარჯი

ფ/პ მიერ გაწეული მომსახურები (პირდაპირი ხარჯი)

საექვო მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯი

დაზღვევა

პირდაპირი ხელფასი

| 2019               |
|--------------------|
| (1 650 479)        |
| -                  |
| (74 161)           |
| (126 901)          |
| (114 461)          |
| (20 995)           |
| (1 112 385)        |
| <b>(3 099 383)</b> |

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის*

14. ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

შრომის ანაზღაურება

ბანკის მომსახურების ხარჯი

საიჯარო ქირა

საგადასახადო ბარათზე დარიცხული საურავი

კომუნიკაციის ხარჯი

საკონსულტაციო ხარჯი

ცვეთა და ამორიზაცია

საკანცელარიო ხარჯი

დაგროვებითი საპენსიო ხარჯი კომპანიის წილი

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

| 2019           |
|----------------|
| 249 939        |
| 7 722          |
| 48 976         |
| 18 048         |
| 5 220          |
| 40 899         |
| 11 397         |
| 9 192          |
| 5 265          |
| 31 989         |
| <b>428 647</b> |

15. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

| 2019          |
|---------------|
| 1 553 623     |
| (1 490 560)   |
| <b>63 063</b> |

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის*

---

**16. სხვა ხარჯები**

არაეკონომიკური ხარჯი მოგების გადასახადთან ერთად

|                |
|----------------|
| <b>2019</b>    |
| (3 248)        |
| <b>(3 248)</b> |

**17. მოგება დაბეგვრამდე**

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული  
თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან  
მიღებული მოგება/ზარალი

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

სხვა ხარჯი

|                    |
|--------------------|
| <b>2019</b>        |
| (3 221 274)        |
| (428 647)          |
| -                  |
| -                  |
| (3 248)            |
| <b>(3 653 169)</b> |

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

**18. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები**

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი. იჯარის საშუალო ვადა 5 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული მინიმალური  
საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე  
წელს აღიარებულია ხარჯად

| 2019          |
|---------------|
| 44 370        |
| <b>44 370</b> |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას უფიქსირდება წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა 3 156 ლარის ოდენობით. (2018 წლის 31 დეკემბრით ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთი შეადგენდა 2921 ლარი).

**საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -**

**მომავალი საიჯარო გადასახდელები**

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

| 2019           |
|----------------|
| 54 450         |
| 222 750        |
| -              |
| <b>277 200</b> |

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

---

**19. სხვა რეზერვები**

სააქციო საზოგადოება თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიჰ ჰიზმეთლერი-ისაგან მიღებული დაფინანსების აღრიცხვა ხდება სხვა რეზერვების მუხლში და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი შეადგენს 3 929 ლარს. (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 23 631 ლარს).

**20. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება**

შრომის ანაზღაურება მთლიანად

| 2019           |
|----------------|
| 121 891        |
| <b>121 891</b> |

**21. მოვლენები საანგარშებო პერიოდის შემდეგ**

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა , რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც COVID-19-ის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ბევრ სფეროში შემცირდა წარმოება , მოხმარება, ვაჭრობა , სამუშაო ადგილები. გაუარსდა ადამიანების კეთილდღეობა, დაწესდა შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე , სხვადასხვა ღონისძიებების გამართვაზე და ა.შ

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის*

---

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

## **22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს .

**დირექტორი:**

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

სს თემელსუ ულუსლარარასი მუჰენდისლიქ ჰიზმეთლერის საქართველოს ფილიალი

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს  
დასრულებული წლისთვის**

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ზანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

**22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს .

**დირექტორი:**

